დანართი №1

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მიმოზა ღოლიჯაშვილი
წევრები: ცოტნე ქორჩილავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი;**

საიდენტიფიკაციო კოდი: **238146190**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 15 აგვისტოს სხდომის ოქმისა MES 3 25 0000988835 და სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N669583 ბრძანების საფუძველზე, **სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო** სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, **„Front-end დეველოპმენტის“** მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2026 წლის 16 ივნისს სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა. აღნიშნული მონიტორინგი ჩაინიშნა საბჭოს მიერ ცენტრის წინაშე აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა კოლეჯის მე-2 სტანდარტში (2.2. კომპონენტში) და მე-4 სტანდარტის (4.1 კომპონენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„Front-end დეველოპმენტის“** შემოწმებას (ადგილზე ვიზიტის ფორმით).

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მიზნით ჩატარებული პირველადი ავტორიზაციისას (სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759328 ბრძანება), 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც **„მეტწილ შესაბამისობაში“,** ხოლო 4.1 კომპონენტი — **„ნაწილობრივ შესაბამისობაში“.** გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 2-50 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, გაიცა რეკომენდაციები: პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესების, ადამიანური რესურსების მოძიება/დამატებისა და პერსონალის კომპეტენციის განვითარების მიმართულებით; ასევე, ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქცია-მოვალეობების მკაფიო გადანაწილებისა და შინაგანაწესისა თუ პერსონალის მართვის დოკუმენტების გადახედვა-გაუმჯობესების მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის დღის განრიგის შესაბამისად, განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეამოწმა პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსი, დაათვალიერა სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დაწესებულების წარმომადგენლის თანხლებით, ასევე, ვიზუალურად შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეფასდა პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა მუშაობის შედეგები და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა ადმინისტრაციას.

მონიტორინგის ვიზიტის პროცესში შემოწმებული დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამა 2.2 კომპონენტთან მიმართებით **„სრულ შესაბამისად“** შეაფასა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მთლიან სტანდარტთან პროგრამის **„შესაბამისობას“**. ასევე 4.1. კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისად", მონიტორინგის ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა, როოგორც "შესაბამისი"- რამაც განაპირობა სტანდარტის **"შესაბამისობა";**

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
Front-end დეველოპმენტი	32	16	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ გამოვლენილა;

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებ დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებ *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა დ კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა დ კომპონენტის შესაბამისად)
Front-end დეველოპმენტი	☐ შეესაბამება მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	Front-end დეველოპმენტი - 0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა; საგარეჯო, სოფელი კაკაბეთი
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ გარემო
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	32
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	16
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

I.პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1.პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მიზნით ჩატარებული პირველადი ავტორიზაციისას (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759328 ბრძანება), 2.2 კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო, როგორც „მეტწილ შესაბამისი“. აღნიშნულ ეტაპზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემოში ჩასატარებელი იყო სარემონტო სამუშაოები.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულებამ ეს ხარვეზი სრულად აღმოფხვრა — სასწავლო სივრცეები გარემონტდა და სრულად აღიჭურვა აუცილებელი მატერიალური ბაზით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ყოველივე ამის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა „Front-end დეველოპმენტის" (მე-4 დონე) პროფესიული ინტეგრირებული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ხელშეკრულებები, სასაქონლო მოთხოვნები, ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გამართული ფუნქციონირებისთვის შეძენილია შემდეგი მატერიალური ინვენტარი და დანადგარები:

- კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები: 17 ერთეული პერსონალური კომპიუტერი შესაბამისი აქსესუარებით, 17 ერთეული უწყვეტი კვების წყარო (UPS) და 1 ცალი 64 გბ-იანი Kingston USB ფლეშ-მეხსიერება.
- სასწავლო და საოფისე ავეჯი: 10 ერთეული სტუდენტის საკლასო მაგიდა, 1 ერთეული სამუშაო მაგიდა, 1 მასწავლებლის მაგიდა, 17 ერთეული ორთოპედიული სავარძელი და 1 ცალი თაროებიანი საოფისე კარადა ჩამკეტით.
- საპრეზენტაციო და ბეჭდვითი მოწყობილობები: 1 ერთეული სმარტ დაფა, 1 მაგნიტური დაფა და 1 ცალი მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერი (A4 ფორმატის) შესაბამის დიდი რესურსის კარტრიჯთან ერთად.
- ციფრული საგანმანათლებლო რესურსი: 1 ერთეული ელექტრონული სახელმძღვანელო — „ვირტუალური სამუშაოები ზოგად ქიმიაში".

ვიზუალური დათვალიერების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" განხორციელებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლას-კაბინეტი (A/C სასწავლო გარემო) სრულად არის მოწესრიგებული. იგი აღჭურვილია სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აუცილებელი ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებითა და გამართული ინტერნეტით. მატერიალური რესურსების შეფასებით საბოლოოდ დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და სასწავლო გარემო სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან და გარანტირებულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**Front-end დეველოპმენტი**" განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 21 განმახორციელებელი; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპზე დასაქმებულია დარგის ერთი სპეციალისტი; დაწესებულება ამჟამადაც აწარმოებს მოლაპარაკებას კონკრეტულ პიროვნებასთან, რათა სექტემბრიდან შეუფერხებლად წარიმართოს საგანმანათლებლო პროცესი, გარანტირებული იყოს პროგრამის განხორცილებეის მდგრადობა და პროფესიაში შემოიყვანოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. მონიტორინგის ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**Front-end დეველოპმენტი**" მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, კვალიფიკაციის, პედაგოგიური პრაქტიკისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენციას, ხოლო მათ უმრავლესობას აქვთ მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა; მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. პერსონალის პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაციით და გასაუბრებით დასტურდება პროფესიული განათლების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება, კერძოდ: პროფესიული სააგენტოს მიერ განხორციელდა ადამიანური რესურსის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის განვითარება/გადამზადება, როგორც სწავლების და შეფასების ნაწილში, ასევე ადმინისტრაციულ ნაწილში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგი:** „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“;
- **ინტეგრირებული მოდულების ტრენინგები:** „ინტეგრირებული მოდულის სწავლების შესავალი“ და ინტეგრირებული ზოგადი მოდულები („კომუნიკაცია ქართულ ენაზე“, „ესთეტიკა“, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, „მოქალაქეობა“, „სპორტი“, „მათემატიკური წიგნიერება“);
- **მართვის მოდულები:** „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“.

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის რეგლამენტირებული პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ძირითადი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**Front-end დეველოპმენტი,“** ხელმძღვანელად იდენტიფიცირებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავდროულად ჩართულია პროგრამის უშუალო განხორციელებაში. მისი პირადი საქმის დოკუმენტური შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი წარმოადგენს სფეროს მოქმედ კვალიფიციურ სპეციალისტს. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. იგი არის თავისი საქმის კარგი მცოდნე, კომპეტენტური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად წარმართვის პროცესებში;

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“, განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის პროგრესს. დაწესებულების ბიბლიოთეკარი ეფექტურად ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო მასალების მიწოდებას, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. ბიბლიოთეკის არსებული ინფრასტრუქტურა აერთიანებს მოწყობილ სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტთან დაკავშირებულ ნოუთბუქს; რესურსების რეალური ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა დაწესებულების სრული მზაობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის. აღსანიშნავია, რომ სასწავლო მიზნებისთვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სტუდენტებს სრულყოფილ საგანმანათლებლო ბაზას სთავაზობს.
აღსანიშნავია, რომ სკოლამ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან ერთად შეადგინა განახლებული დამატებითი სასწავლო ელექტრონული რესურსების ბანკი. იგი ხელმისაწვდომია თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლისა და სტუდენტისთვის.

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2026 წლის 02 თებერვალს (ბრძანება N2-08) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 29-ე მუხლით, დაწესებულებაში სრულად არის დარეგულირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები.
აღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დაწესებულება უზრუნველყოფს შშმ და სსსმ სტუდენტებისთვის ყველა არსებული სერვისის ხელმისაწვდომობას, რაც მოიცავს:

- ინდივიდუალურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერას: საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტების მოწვევას, სპეციალური კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის მდგომარეობის შესწავლას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მოდიფიკაცია/აკომოდაცია) შემუშავებას. სასწავლო პროცესში გარანტირებულია ინდივიდუალური მეცადინეობები, მასწავლებელთა კონსულტაციები და მოდულებზე წინაპირობების დაძლევის გარეშე დაშვება.
- რესურსების ადაპტირებას: სკოლის ბიბლიოთეკა, მასწავლებელთა ჩართულობით, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების შინაარსობრივ მორგებას (ტექსტების გამარტივება, ვიზუალიზაცია), მათ ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას ან სტუდენტისთვის საჭირო ზომის შრიფტით ამობეჭდვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფიზიკურ და ადმინისტრაციულ ხელშეწყობას: სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოდ გადაადგილებისა და პერსონალის დახმარების მიზნით, შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები პირდაპირ აქვთ გაწერილი დაცვის თანამშრომლებსა და მედდას.
- პროფესიულ ადაპტაციას: სტუდენტის ჩარიცხვისთანავე, მედდის მონაწილეობით იმართება კონსულტაციები პრაქტიკის ობიექტთან პროგრამის სრულფასოვანი ათვისებისა და პირობების მისადაგების მიზნით. კრედიტებისა და კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე, ხოლო მათი მიუღწევლობის შემთხვევაში გაიცემა სათანადო ცნობა.

სკოლას აქვს სრული ინსტიტუციური მზაობა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება და საგანმანათლებლო რესურსების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

2.2.1.6. ინდოკატორი შესაბამისობაშია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“, მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ✓ პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება;
- ✓ მასალა და ნედლეული;
- ✓ სხვა ხარჯი (ადმინისტრაციის ხელფასი);

2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი (10.12.2025წ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის 2026 წლის კორექტირებული ბიუჯეტი(25.05.2026)
- ✓ მიღება ჩაბარების აქტი: № 032601 (27.02.2026);
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი №042601 (25.03.2026)
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი № 072601 (04.05.2026)
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი № 03/2601; (27.02.2026)
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი № 4 (09.06.2026)
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი № 3 (148.03.2026)
- ✓ მიღება -ჩაბარების აქტი № 2(06ю02ю2026)
- ✓ მიღება ჩაბარების აქტი №1(15.01.2026)
- ✓ სასაქონლე ზედნადებები;
- ✓ საგადასახადო მოთხოვნები:№00258, №00259. №002560, №00518, №00357,№00358, №00359;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. აღნიშნული პერსონალი სრულფასოვნად ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ისე შეუფერხებლად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რითაც სრულად არის დაკმაყოფილებული და რეალიზებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასახული ყველა აქტივობა. მარეგულირებელი დოკუმენტაცია მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს. მათ შორის, ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფაზე, რეესტრზე პასუუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციებს. თანამშრომელთა პირად საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას: პოზიციის დასახელებას, ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სასურველ პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამატებით მოთხოვნებს. ყველა დოკუმენტი სათანადოდ არის ხელმოწერილი დასაქმებულთა მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ სქემა ადგენს ნათელ ანგარიშვალდებულების წესს: დაწესებულებაში დასაქმებული თითოეული თანამშრომელი ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია უშუალოდ დირექტორის, აგრეთვე იმ პირის წინაშე, რომელსაც იგი უშუალოდუკავშირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული იერარქიით. აღნიშნული სრულად გამორიცხავს ფუნქციურ აღრევას და უზრუნველყოფს მართვის პროცესის გამჭვირვალობას.

4.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს და ეფექტურად უწყობს ხელს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას.
სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის N02-45 ბრძანებით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, რომლითაც დეტალურად და მკაფიოდ არის განსაზღვრული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. მარეგულირებელი დოკუმენტი სრულყოფილად ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და შესყიდვების სპეციალისტის კომპეტენციებსა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმატებით და ვადების დაცვით შეასრულა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებისა და კადრების მობილიზების კუთხით. დღეის მდგომარეობით, დაწესებულება სრულად არის დაკომპლექტებული საჭირო ადამიანური რესურსით, პერსონალი მოძიებულია და ყველა პოზიცია რეალურად არის დაკავებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით. სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის მოვალეობები მკაფიოდ არის გამიჯნული, არ ფიქსირდება ფუნქციათა გადაფარვა, რაც პრაქტიკაში უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიან, კოორდინირებულ და შეუფერხებელ მიმდინარეობას. აღნიშნულით ინდიკატორის მოთხოვნა სრულად არის დაკმაყოფილებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებაში პრაქტიკულად დანერგილია და ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება უწყვეტი განვითარების დემინგის ციკლს (PDCA პრინციპი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე). ხარისხის მართვის პროცესი მიმდინარეობს სისტემატურად და ორიენტირებულია როგორც ადმინისტრაციული სტრუქტურების მუშაობის, ისე პერსონალის პროფესიული საქმიანობის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებაზე. ხარისხის მართვის ფუნქციური დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში სრულად არის დაცული ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პრინციპები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც პარალელურად ეწევა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას (სკოლის მასწავლებელი), თავისი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში არ უფიქსირდება რაიმე სახის ადმინისტრაციული ან მატერიალური ინტერესი.

შესაბამისად, ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა, პოზიციური განლაგება და რეალური ფუნქციები სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობას, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის მიუკერძოებლობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას. ინდიკატორის მოთხოვნები სრულად არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი 4.1.1.3 **დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;
- ✓ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები;
- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შინაგანაწესს და პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მარეგულირებელ დოკუმენტებს, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის მართვის ყველა პროცედურა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები სრულყოფილად ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და შესყიდვების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებს. თითოეული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი სტრუქტურირებულია და მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას: პოზიციის დასახელებას, დეტალურ ფუნქციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სასურველ პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამატებით მოთხოვნებს. პერსონალის პირად საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობები სათანადოდ არის ხელმოწერილი დასაქმებულთა მიერ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმატებით განავითარა ორგანიზაციული სტრუქტურა და სრულად აღმოფხვრა სტრუქტურული ერთეულების არასაკმარისი კომპლექტაციის ძველი ხარვეზი. დღეისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული და რეალურად ამოქმედებული სტრუქტურული ერთეულები, კადრების სრული მობილიზების ხარჯზე, უზრუნველყოფს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. პერსონალის მართვისა და ფუნქციური გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს ეფექტურად, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4.1.2.1. **დაკმაყოფილებულია;**

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 09 იანვრის N2-44 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ მე-3 მუხლით, დაწესებულებაში სრულად არის რეგლამენტირებული ვაკანტურ პოზიციებზე პერსონალის შერჩევისა და საკადრო დაგეგმვის პროცედურები. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, დაწესებულება საკადრო პოლიტიკას ახორციელებს შემდეგი პრინციპებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ პროცესის ადმინისტრირება და წინაპირობები: შერჩევის პროცესის დაგეგმვას მართავს სკოლის დირექტორი. პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს საკადრო დეფიციტი, ახალი კადრის აუცილებლობა ან პერსონალის შეფასების შედეგები. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორი თანამშრომლებთან კონსულტაციით თავად აყალიბებს სამუშაოს აღწერილობასა და კრიტერიუმებს.
- ✓ ვაკანსიის შევსების ფორმები: დირექციასთან კონსულტაციით განისაზღვრება ვაკანსიის შევსების გზა — არსებული შიდა საკადრო ბაზის გამოყენებით ან ღია კონკურსის გამოცხადებით (გარე რესურსის მოსაზიდად). კონკურსი შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც პედაგოგიური, ისე ადმინისტრაციული პოზიციების დასაკავებლად.
- ✓ გამჭვირვალობა და საჯაროობა: ღია კონკურსის გამოცხადებისას ინფორმაცია სავალდებულოდ თავსდება სკოლის ვებ-გვერდსა და ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე. საჭიროებისამებრ, გამოიყენება დამატებითი არხებიც: დასაქმების სახელმწიფო პორტალი (hr.gov.ge), ბეჭდური მედია ან დასაქმების სააგენტო.
- ✓ ობიექტური შეფასება: კანდიდატთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაქსიმალურად ზუსტი და მიუკერძოებელი შემოწმების მიზნით, სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს შერჩევის მეთოდთა ფართო სპექტრი, მათ შორის: გასაუბრება, ტესტირება და სხვადასხვა ტიპის საკონკურსო ფორმატები.

ინდიკატორი 2.1.2.2. **დაკმაყოფილებულია;**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №2-45 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, სადაც თითოეული პოზიციისთვის მკაფიოდ არის გაწერილი სავალდებულო კრიტერიუმები. საგულისხმოა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრული მინიმალური განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენების ფლობა და საკანონმდებლო აქტების ცოდნა სრულ შესაბამისობაშია არსებულ პოზიციებთან და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ დასაქმებული პერსონალი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირად საქმეებში სათანადოდ არის დაცული კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაცია, მათ შორის ნასამართლობის შესახებ (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები) ცნობები.

ინდიკატორი 4.1.2.3. **დაკმაყოფილებულია;**

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია და შიდაორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი მართვისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის ფუნქციონირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა კოლეგიური ორგანოები, რაც ხელს უწყობს ინტერესთა ფართო სპექტრის გათვალისწინებასა და გაზიარებული ლიდერობის ინსტიტუტის დამკვიდრებას. ამასთანავე, ეფექტიანი შიდა კომუნიკაციისა და პროფესიული მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში აქტიურად მოქმედებს მასწავლებელთა საგნობრივი ჯგუფები. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის ამოცანები მიმართულია ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოს გაძლიერებისკენ, სადაც წახალისებულია გუნდური პასუხისმგებლობა. აღნიშნული მიდგომის პრაქტიკულ რეალიზებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ პედაგოგები რეგულარულად იკრიბებიან, აქტიურად მართავენ სამუშაო შეხვედრებს, ერთობლივად განიხილავენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს და ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებასა, თუ საუკეთესო პრაქტიკას. დაწესებულების დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მართვის პოლიტიკა წარმატებით უზრუნველყოფს ისეთი ორგანიზაციული კულტურის განვითარებას, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე, გუნდური და კოორდინირებული მუშაობის სტანდარტებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ (მე-4 მუხლი) მიხედვით, დაწესებულებაში სისტემურად არის უზრუნველყოფილი ახალი კადრების ადაპტაციისა და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების მექანიზმები. ინტეგრაციის პროცესის ძირითადი მიზანია ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფი და ეფექტიანი ჩართვა, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრება და სკოლის საზოგადოებაში მისი სრულფასოვანი ადაპტაცია.

ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის ადმინისტრირებას უშუალოდ მართავს სკოლის დირექტორი, რაც ხორციელდება შემდეგი ეტაპებით:

- **სამართლებრივი და ორგანიზაციული ცნობიერების ამაღლება:** ყოველ ახალ თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, რის შემდეგაც დირექტორი მას დეტალურად აცნობს დაწესებულების მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, შინაგანაწესის მოთხოვნებსა და სკოლაში მოქმედ პროცედურებს.
- **ფუნქციური ორიენტირების დასახვა:** დირექტორი თანამშრომელს აცნობს მის კონკრეტულ „სამუშაო აღწერილობას“, განუმარტავს სამუშაოს სპეციფიკას, სამომავლო შეფასების კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს, რაც საფუძველს უყრის მონაწილეობით მართვასა და ერთობლივი პასუხისმგებლობის გადანაწილებას.
- **პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა:** გუნდური მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი და უშუალო ხელმძღვანელი ერთობლივად ადგენენ სპეციალურ ტრენინგ-პროგრამას ახალი კადრისთვის, რათა მან სწრაფად შეიძინოს შემდგომი საქმიანობისთვის აუცილებელი დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს პერსონალისთვის კომფორტული, მხარდამჭერი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს ორგანიზებას. მონიტორინგის ფარგლებში დგინდება, რომ სკოლაში არსებული მართვის სტილი და ადაპტაციის პრაქტიკა სრულად ეფუძნება კოლეგიალობას, ურთიერთთანამშრომლობასა და ორგანიზაციული კულტურის მაღალ სტანდარტს, რითაც ინდიკატორის მოთხოვნა სრულად არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი **4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი";
- ✓ „პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა";
- ✓ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი
13.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: